ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ო ქ მ ი №01-06/10

დაბა ქედა, 24 ივნისი, 2022 წელი

სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 12:35 საათზე.

სხდომას საკრებულოს 21 წევრიდან 18 ესწრებოდა.
სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
რეზო თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ვაჟა აბულაძე - სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ამირან წულუკიძე - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
მზია ბოლქვაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ჯიმშერ სამნიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მარინა ბარამიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა გორგილაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მამუკა გოგოლიშვილი - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
გოჩა ჟღენტი - საკრებულოს წევრი;
ირაკლი მახარაძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ჯემალ დავითაძე - საკრებულოს წევრი;
შორენა კარანაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა:
დავით სირაბიძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
მამუკა გოგოლიშვილი - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მინდია არძენაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;
ნონა თებიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/10 მორიგი სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

24 ივნისი, 2022 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ცინცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	ჯიმშერ სამნიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მზია ბოლქვაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	გოჩა გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	ირაკლი მახარაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
18	შორენა კარანაძე	საკრებულოს წევრი	
19	მინდია არძენაძე	საკრებულოს წევრი	
20	გოჩა ჟღენტი	საკრებულოს წევრი	
21	ჯემალ დავითაძე	საკრებულოს წევრი	

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ დასამტკიცებლად წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 24 ივნისის №01-06/10 მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. ქედის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის მოწონების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

2. „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აპრილის №33 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :
დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 24 ივნისის №01-06/10 მორიგი სხდომის წარმოდგენილი დღის წესრიგი.

1. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის მოწონების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე.

მომხსენებელმა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ჯემალ ტაკიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის მოწონების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: 12-95221501-95, 30.05.2022 წელი; მოხსენებითი ბარათი: 95-95221744, 23.06.2022 წელი) და განმარტა, რომ წარმოდგენილი პრიორიტეტების დაზუსტება და განხილვა 15 ნოემბრემდე იქნება შესაძლებელი და ამის შემდეგ მოხდება მისი დამტკიცება.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ბერიძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, რამდენი ლარი იყო გამოყოფილი ქედის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით.

მომხსენებელმა ჯემალ ტაკიძემ კითხვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ მუშავდება ნარჩენების ერთიანი მართვის კონცეფცია სამი მუნიციპალიტეტის მიერ. მუნიციპალიტეტში

არსებული ნარჩენების მართვის გეგმის მიხედვით განხორციელდა ურნებისა და სპეციალური ნაგვის გადამზიდი ავტომობილის შეძენა, რამაც განაპირობა ნარჩენების მართვის კუთხით ზემო აჭარის სამი მუნიციპალიტეტიდან ყველაზე კარგი მდგომარეობა ქედის მუნიციპალიტეტში. აქვე აღნიშნა, რომ შესაძლებელია უახლოეს მომავალში ევროკავშირის მიერ გრანტის გამოყოფა, რაც ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მოახდენდა ამ კუთხით გამოყოფილი ფინანსური რესურსების გამოთავისუფლებას.

ამირან ცინცაძემ აღნიშნა, რომ მნისვნელოვანია, როცა მუნიციპალიტეტს გააჩნია თავისი სამოქმედო გეგმა, განსაკუთრებით აღნიშნა ჯანდაცვის პროგრამაზე გამოყოფილ 3 მილიონი ლარი და იმედი გამოთქვა, რომ თუ ევროკავშირის მიერ მუნიციპალიტეტი გრანტს მიიღებდა, გამოყოფილი ეკონომიით სხვა პროექტების განხორციელება იქნებოდა შესაძლებელი.

(12:10 საათზე სხდომას შეუერთდა ჯიმშერ სამნიძე)

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება: გ-95.95221752)

2. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აპრილის №33 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე.

მომხსენებელმა მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსმა სულიკო ბოლქვაძემ საკრებულოს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აპრილის №33 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი №12-95221741-95, 23.06.2022), რომლითაც ქედის მუნიციპალიტეტის საკუთებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხა განისაზღვრა 13 ერთეულით.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარის მოადგილემ ირაკლი მახარაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს ქედის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) თაობაზე, კერძოდ: როგორ ხდებოდა წარმოდგენილი ავტომობილებისა და მიწის ნაკვეთების საწყისი ფასის დადგენა; ასევე დაინტერესდა რამდენად შესაძლებელი იყო რძის ქარხნის შენობის გაყიდვა, მაშინ როდესაც შენობაში მოქალაქე რამდენიმე წელია ცხოვრობდა და გაყიდვის შემთხვევაში მას რა ბედი ეწეოდა, ასევე დაინტერესდა მახუნცეთის ტერიტორიაზე არსებული სასურსათო მაღაზიის ღირებულებასთან დაკავშირებით, რადგანაც მახუნცეთის ტერიტორია ტურისტული ადგილი იყო, იკითხა თუ როგორაა დადგენილი ფასები მიწებზე, როგორც ტურისტულ ზონად თუ ჩვეულებრივი ტერიტორიის ზონის ფასად. ასევე დაინტერესდა ქედაში სასწრაფო დახმარების შენობის მშენებლობასთან დაკავშირებით, თუ არსებობდა მუნიციპლიტეტში სხვა ალტერნატიული ფართი, რადგანაც როგორც მისთვის ცნობილი იყო მედპერსონალის თხოვნა იყო სხვა ტერიტორიაზე შენობის განთავსება.

კითხვებთან დაკავშირებით მომხსენებელმა განმარტა, რომ მუნიციპალიტეტში არსებული ადგილებისა და ქონების შეფასება აუდიტის დასკვნის საფუძველზე ხდება. დანართში წარმოდგენილი ფასები იყო საწყისი ფასი და აუქციონის დროს შესაძლებელი იქნებოდა მისი გაზრდაც. წარმოდგენილი ავტომობილებიდან ავტომანქანა TOYOTA RAV-4 სახ. ნომერი BTM010 შეფასებული იყო ჯართის ფასად, ხოლო დანარჩენი ხუთი ავტომობილი იმედოვნებდა, რომ გაიყიდებოდა საბაზრო ფასად. რაც შეეხება, რძის ქარხნის გაყიდვასთან დაკავშირებით არსებულ პრობლემას განმარტა, რომ გაყიდვის შემთხვევაში მოქალაქის საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებას მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფდა, ხოლო მახუნცეთის სასურსათო მაღაზიასთან დაკავშირებით განმარტა, რომ აღნიშნული ქონება დღემდე ფუნქციონირებს, აუქციონის საშუალებით ტურისტულ ზონაში მდებარეობის გამო შესაძლებელი იქნებოდა შენობის ღირებულების გაძვირება.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება: გ-95.95221751)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 12:35 სთ-ზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **ამირან ცინცაძე**

ოქმი შეადგინა:

საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი
სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში **ნონა თებიძე**